ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2302002

ნომერი: AR1355862

თარიღი : 10.11.2015

გაცემის თარიღი : 18.11.2015

გაცნობის თარიღი : 18.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხომლელის "ე" კორპუსის და ჯავახეთის ქუჩის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით გაბუნია პ/ნ 62005002580
- ლერმონტოვის ქ. 18 ბ18

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.10.2015 წ. №2236977 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 10.11.2015 წლის №AR1355862 განცხადებით მომართა დავით გაბუნიამ და მოითხოვა სამსახურის 20.10.2015 წ. №2236977 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 20.10.2015 წ. №2236977 ბრძანებით ქ. თბილისში, ხომლელის „ე“ კორპუსის და ჯავახეთის ქუჩის მიმდებარედ

დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით.
აღნიშნული პირობების მე–2 პუნქტში, საზოგადოებრივ საზღვრებში დაფიქსირებული იქნა: „საზოგადოებრივი საზღვრები: გააჩნია მიწის ნაკვეთის აღმოსავლეთით არსებული ჯავახეთის II შესახვევის მხრიდან“. დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს რეკომენდაციით საკადასტრო გეგმით #01.19.20.008.027; #01.19.20.008.028 და #01.19.20.008.031 მიწის ნაკვეთები წარმოადგენს საზოგადოებრივ სივრცეს (სპორტული მოედანი და სკვერი) და მათი განკარგვის შესახებ საკითხის განხილვა არ არის მიზანშეწონილი, რის შესაბამისადაც შესაძლებელია აღნიშნული მიწის ნაკვეთები ჩაითვალოს საზოგადოებრივ სივრცედ, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 20.10.2015 წ. №2236977 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, საზოგადოებრივი საზღვრების დადგენის პუნქტში მითითებულ იქნას: დადგინდეს მიწის ნაკვეთის აღმოსავლეთით არსებული ჯავახეთის II შესახვევის მხრიდან და სამხრეთით არსებული სივრციდან (ს/კ: #01.19.20.008.027; #01.19.20.008.028 და #01.19.20.008.031).

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.10.2015 წ. №2236977 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, საზოგადოებრივი საზღვრების დადგენის პუნქტში მითითებულ იქნას: „დადგინდეს მიწის ნაკვეთის აღმოსავლეთით არსებული ჯავახეთის II შესახვევის მხრიდან და სამხრეთით არსებული სივრციდან (ს/კ: #01.19.20.008.027; #01.19.20.008.028 და #01.19.20.008.031)“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.10.2015 წ. №2236977 ბრძანებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.